

შეშის მოხმარება საქართველოში და მისი გავლენა მდგრადი განვითარების
კონტექსტში

სოფიო გიგაური

სამაგისტრო ნაშრომი

ენერგეტიკის მართვა და მდგრადი განვითარება

ხელმძღვანელი: გიორგი მუხიგულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო გიგაური

24.06.2019

აბსტრაქტი

ეკონომიკური განვითარების შედეგად იზრდება ენერჯიაზე მოთხოვნა, რაც გავლენას შეშის მოხმარებაზეც ახდენს.

წინამდებარე დოკუმენტში გამოკვლეულია შეშის მოხმარება საქართველოში და მისი გავლენა მდგრადი განვითარების კონტექსტში.

კვლევის მთავარი მიზანი იყო დაგვედგინა რა ზიანი მოაქვს შეშის მოხმარებას სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე, აგრეთვე იმ ალტერნატივების ძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორის მდგრად განვითარებას.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს იმ რეგიონების კვლევა სადაც შეშას უმეტესად გასათბობად და საკვების მოსამზადებლად იყენებენ. ვინაიდან საქართველო განვითარებად ქვეყნებს შორისაა და ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მაღალია მოწყვლადი მოსახლეობის რაოდენობა, იკვებება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი კერძოდ: გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ტყეების უკონტროლო ჩეხვაზე და შედეგად ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზიანი.

ნაშრომის მეთოდოლოგია გულისხმობს, როგორც სამაგიდე, ასევე რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევის კომპონენტებს. მსოფლიოს მასშტაბით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შესწავლას და ჩვენი ქვეყნის მაგალითზე იგივე მასალის მოძიებას, დამუშავებას და ზემოქმედების გამოთვლას.

ჩატარებული კვლევებიდან გამოჩნდა, რომ შეშის წვისგან გამოწვეული ზემოქმედება არის მაღალი, როგორც სოციალურ ასევე ბუნებრივ გარემოზე. სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მაღალი დონე ფიქსირდება მთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობას საწვავად შეშის მოხმარება უწევს. ამიტომ მნიშვნელოვანია საწვავად გამოყენებული იქნეს ხის ნარჩენებიდან მიღებული მასალა: ბრიკეტები, პილეტები, ხის ჩიფსები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ტყის რესურსები, ენერგოეფექტურობა, ენერგოეფექტური ღუმელები, ტყეების უკანონო ჩეხვა, ჯანმრთელობა, მდგრადი განვითარება.

Abstract

In the result of economic development, demand on the power is increased impacting the consumption of firewood.

The present document provides the survey of the firewood consumption in Georgia and its impact in the sustainable development context.

The main goal of the survey was to identify the damage, which can be entailed by the usage of the firewood on natural and social environment, and also, finding alternatives, which can facilitate to the sustainable development of the sector.

Within the framework of the Master's research, those regions of Georgia were surveyed, where the consumption of the firewood is mostly provided for heating and preparation of the food. As Georgia stands among developing countries and number of vulnerable people is quite high in our country, several significant aspects are singled out, namely: impact on human health, uncontrolled cutting of forests and in the result adverse damage to natural environment.

The research methodology implies the desktop, as well as the quantitative and qualitative survey components. Study of researches conducted by the properly qualified scientists throughout the world and on the example of our country, obtainment and processing of the similar material and determination of impact.

Based on the conducted researches, impact entailed by the burning of firewood is high on the social, as well as on the natural environment. High degree of impact on social environment is observed in the mountainous regions, where population use the wood waste for fuel, in particular: briquettes, pellets, woodchips, etc.

Keywords: Forest resources, energy efficiency, energy efficient stoves, illegal cutting of forests, health and sustainable development.